კათოლიკე ეკლესიის კალენდარი

წელი უფლისა

2020

ითარგმნა და დაიბეჭდა
მეუფე ფუზეპე პაზოტოს
ლოცვა–კურთხევით

მთარგმნელი:
მ. აკაკი ჭელიძე mi

კავკასიის ლათინ კათოლიკეთა
სამოციქულო ადმინისტრაცია

წმიდა წერილის წიგნთა სახელების შემოკლებანი

ძველი აღთქმა

დაბ - დაბადება
გამ - გამოსვლა
ლევ - ლევიანნი
რიცხ - რიცხვთა
რფლ - მეორე რფული
იესო - იესო ნავეს ძე
მსფ - მსაფულნი
რუთ - რუთი
1მეფ - პირველი მეფეთა
2მეფ - მეორე მეფეთა
3მეფ - მესამე მეფეთა
4მეფ - მეოთხე მეფეთა
1ნეშტ - პირველი ნეშტთა
2ნეშტ - მეორე ნეშტთა
1ეზრ - პირველი ეზრა
ნეემ - ნეემია
ესთ - ესთერი
იობ - იობი
ფს - ფსალმუნნი
იგ - იგავნი სოლომონისა
ეკლ - ეკლესიასტე
ქებ - ქებათა-ქება
ეს - ესაია წინასწარმეტყველი
იერ - იერემია წინასწარმეტყველი
გოდ - გოდება იერემიასი
ეზეკ - ეზეკიელ წინასწარმეტყველი
დან - დანიელი
ოს - ოსია წინასწარმეტყველი
იოელ - იოელ წინასწარმეტყველი
ამ - ამოს წინასწარმეტყველი
აბდ - აბდია წინასწარმეტყველი
იონ - იონა წინასწარმეტყველი
მიქ - მიქა წინასწარმეტყველი
ნაუმ - ნაუმ წინასწარმეტყველი
აბაკ - აბაკუმ წინასწარმეტყველი
სოფ - სოფონია წინასწარმეტყველი
ანგ - ანგია წინასწარმეტყველი
ზაქ - ზაქარია წინასწარმეტყველი
მალ - მალაქია წინასწარმეტყველი
1მაკ - პირველი მაკაბელთა
2მაკ - მეორე მაკაბელთა
3მაკ - მესამე მაკაბელთა
4მაკ - მეოთხე მაკაბელთა
ბარ - ბარუქ წინასწარმეტყველი
2ეზრ - მეორე ეზრა
3ეზრ - მესამე ეზრა
ივდ - ივდითი
ეპ. იერ. - ეპისტოლე იერემიასი
სიბრძ - წიგნი სიბრძნისა
ზირ - სიბრძნე ზირაქისა
ტობ - ტობითი

ახალი აღთქმა

მთ - მათეს სახარება
მარ - მარკოზის სახარება
ლკ - ლუკას სახარება
იო - იოანეს სახარება
საქმ - საქმე მოციქულთა
რომ - რომაელთა მიმართ
1კორ - 1 კორინთელთა
2კორ - 2 კორინთელთა
გალ - გალატელთა მიმართ
ეფ - ეფესელთა მიმართ
ფილიპ - ფილიპელთა მიმართ
კოლ - კოლასელთა მიმართ
1თეს - 1 თესალონიკელთა მიმართ
2თეს - 2 თესალონიკელთა მიმართ
1ტიმ - 1 ტიმოთეს მიმართ
2ტიმ - 2 ტიმოთეს მიმართ
ტიტ - ტიტეს მიმართ
ფილიმ - ფილიმონეს მიმართ
ებრ - ებრაელთა მიმართ
იაკ - წმ. იაკობის წერილი
1პეტ - წმ. პეტრეს I წერილი
2პეტ - წმ. პეტრეს II წერილი
1იო - წმ. იოანეს I წერილი
2იო - წმ. იოანეს II წერილი
3იო - წმ. იოანეს III წერილი
იუდ - წმ. იუდას წერილი
გამოცხ - გამოცხადება

1 იანვარი

2020 ოთხშაბათი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ, [ს],თ

(19.XII) წმმ. ღირსი გიორგი მწერალი და ძმა მისი საბა ხახულელნი

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

მარიამმა კი ჩაიმარხა ყოველი სიტყვა და ჩაიდო ისინი გულში ლკ 2,19

ამ ახალ წელს ვიწყებთ მარიამისადმი მიპრყობილი მზერით, მდუმარე, საკუთარ შინაგან სიცოცხლეზე გულისხმიერი, იესოსთან დაკავშირებული სიტყვებით სავსე მარიამისადმი. ამგვარადაა იგი დედა ღმრთისა. მადლიერნი პატივს მივაგებთ და ვცდილობთ მივბაძოთ მას. ამ ახალი წლის ყოველი დღე დალოცვით ვიქნებით სავსენი და მოვუფრთხილდებით ჩვენში ყოველივეს, რაც ღვთის ძეს ეხება.

ხუთშაბათი

1იო 2,22-28; ფს 97; იო 1,19-28

შეჰლაღადეთ უფალს, მთელო ქვეყნიერებავ ფს 97

სიხარულით შევუერთოთ ჩვენი ხმა სრულიად ეკლესიის ქების საგალობელს: მამას სამარადისოდ ერთგული სიყვარულით ვუყვარვართ. როდესაც მისგან დაშორებულნი წყვდიადში აღმოვჩნდით, უსიცოცხლონი, მან როდი მიგვატოვა: მოგვივლინა თავისი ძე, იესო; გულში მისი სიყვარულით სიცოცხლის ნათელში ვართ, დახსნილნი და დაიმედებულნი.

3 იანვარი

2020

შობის ჟამი [ს] თ

(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბატი;
იესოს უწმიდესი სახელი

პარასკევი

1იო 2,29 - 3,6; ფს 97; იო 1,29-34

ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ 1იო 3,1

დღეს წმიდა იოანე გვიხმობს მამის სიყვარულის სიდიადის ჭვრეტისაკენ, მამისა, რომელმაც მოავლინა თავისი ძე იესო, როგორც „კრავი, წუთისოფლის ცოდვის ამღებელი“, რათა ჩვენც მისი შვილნი გავმხდარიყავით. დავუფიქრდეთ, რაოდენი სიყვარული მოგვცა მამამ, რომ მოგვიხმო, ვყოფილიყავით მისი შვილნი იესოს სახელით. მადლიერებით ვატაროთ ეს სახელი გულითა და ბაგით.

4 იანვარი

შობის ჟამი [ს] თ

2020 შაბათი

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

მიიყვანა იგი იესოსთან იო 1,42

ანდრია, რომელმაც ეს-ესაა განიცადა იესოსთან შეხვედრის სიხარული, გრძნობს, რომ ამგვარ შეხვედრაზე უკეთესს ვერაფერს შესთავაზებს თავის ძმას პეტრეს. მეც მხოლოდ მაშინ ვპოვე მშვიდობა და სიცოცხლე, როდესაც შენ შეგხვდი, იესო!

5 იანვარი

II კვირადღე შობის შემდეგ, «ა», [II], თ

2020 კვირა

ზირ 24,1-2.8-12; ფს 147; ეფ 1,3-6.15-18; იო 1,1-18

ნათელი ბრწყინავს წყვდიადში იო1,5

ჩვენს ქრისტიანულ ოჯახებში, ყველაზე ღარიბებშიც კი – და სწორედ ეს უკანასკნელნი უყვარს უფალს განსაკუთრებული სიყვარულით! – ამ დღეებში ავანთეთ სანთლები, შობის სანთლები. იმ შუქის ნიშნებია, რომელიც ახლა ყველაზე ძლიერად ანათებს ჩვენს გულებში: იესო მუდამ ჩვენთანაა!

მისი სიყვარულის წყალობით ყოველი ჟამი, ყველაზე კუნაპეტიც, განათებულია, იძენს მნიშვნელობასა და ღირებულებას. მადლობა, იესო, რომ კვლავაც მოდიხარ!

იანვარი

6

2020

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

ორშაბათი

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

მოვიდნენ მოგვები აღმოსავლეთიდან მთ 2,1

ეს ადამიანები, რომლებიც არ ეკუთვნოდ-
ნენ ისრაელის ერს, გრძელ გზას დაადგნენ,
რადგან ამოიცნეს რომ ახალდაბადებულ
იუდეველთა მეფეს მათი თაყვანიც ეკუთ-
ვნოდა. ამ ხალხმა გაიგო, რომ იესო, რომ-
ლის სახელიც კი არ იცოდნენ ჯერ, მნიშ-
ვნელოვანი იყო მათთვისაც. მეც თაყვანსა
გცემ, იესო, ყოველი ადამიანის ნათელო.

7 იანვარი

შობის II კვირა, [ს], თ

წმ. რაიმუნდე პენიაფორტელი, მღვ. +1275

2020 **სამშაბათი**

1იო 3,22-4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

შენ ხარ ძე ჩემი, დღეს გშობე შენ ფს 2

რაოდენ დიდია შობის ძღვენი! ღვთის ძის წუთისოფელში მოსვლისა და ნამოქმედარის წყალობით მამას შეუძლია თითოეულ ჩვენგანზეც თქვას: „შენ ძე ხარ ჩემი“! როდესაც დაკავშირებულნი ვართ იესოსთან ნამდვილად ჩვენშიც იღვრება მამა ზეციერის სიცოცხლე, რომელიცაა ოდენ სიყვარული! მადლობა, იესო!

8 იანვარი

შობის II კვირა, [ს], თ

2020 ოთხშაბათი

1იო 4,7-10; ფს 71; მარ 6,34-44

ღმერთი სიყვარულია 1იო 4,8

მაშ, ცხადზე ცხადია, რომ ღმერთი და ჩვენი ურთიერთობა მასთან, ვერ ამოიწურება კატექიზაციის ერთი საათით, ვერც მხოლოდ წირვით, ან დილა-საღამოს ლოცვით... ღმერთს ვუყვარვარ და ამ სიყვარულით მანიჭებს სიცოცხლის ყოველ წუთს. მან მინება მე, მან შემქმნა, მისი მარადიული მკლავები მომელის მე. იესო, ეს მარადიული სიყვარული შენში ისხამს ხორცს: არ დაგშორდები!

9 იანვარი

2020

შობის II კვირა, [ს], თ

(27. XII) ღირსი სტეფანე ხირსელი,
13 ასურელ მამათაგანი (VIს)

ხუთშაბათი

1იო 4,11-18; ფს 71; მარ 6,45-52

ღამის მიწურულს
იგი წავიდა მათკენ მარ 6,48

პურის გამრავლების შემდეგ იესო გზავნის მოწაფეებს მეორე ნაპირისაკენ, თვითონ კი განმარტოვდება მთაზე სალოცავად. მხოლოდ ღამის ბოლოსკენ, რომ დაინახა, როგორი გაჭირვებით უსვამდნენ ნიჩბებს, გაემართა მათკენ წყალზე სვლით. ამით ვგებულობ, რომ იესო ხანგრძლივ დროს უთმობდა ხოლმე ლოცვას და, რომ მაშინ-ვე არ გაქცეულა გასაჭირში მყოფი მოწა-ფეებისაკენ; დაანება მათ, განეცადათ საკუ-თარი უძლურება.

10 იანვარი

შობის II კვირა [ს] თ

2020 პარასკევი

1იო 4,19-5,4; ფს 71; ლკ 4,14-22

მომავლინა ღატაკთათვის სახარების საუწყებლად ლკ 4,18

ნაზარეველებს არ აღმოაჩნდათ იმ სასიხარულო ამბის მიღების უნარი, რისი უწყებაც სურდა მათთვის იესოს: არ იყვნენ ღატაკნი, ანუ, არა გრძნობდნენ საჭიროებას, ღვთის დანაპირების საჭიროებასაც კი. შესაძლოა, მეც ვიყო „მაძღარი" იმითი, რაც მაქვს, რასაც ვაკეთებ, რაც მგონია, რომ ვარ, და ამიტომაც არ მაქვს უნარი გავიხარო იმით, რისი თქმაც და მოცემაც სურს ჩემთვის იესოს.

11 იანვარი

შობის II კვირა [ს] თ

2020 შაბათი

1იო 5,5-13; ფს 147; ლკ 5,12-16

ეს სიცოცხლე მის ძეშია 1იო 5,11

კვლავაც შობის ჟამია! ახლდება მამის უსასრულო ნიჭი – ძე მისი. მისი მიღებით ვღებულობთ სიცოცხლეს. მადლობა, მამაო, შენი ნიჭისათვის; მადლობა, რომ შენს ძეს, იესოს მოცემით, მე მბადებ შენს ნამდვილ შვილად. მსურს, რომ ყოველდღე ჩემი ცხოვრება იყოს იესოს მიღება... იესოსი, რომელსაც უყვარს, ემსახურება, მიუტევებს, კვდება და აღდგება.

12 იანვარი

2020

უფლის ნათლისღება «ა», დ, [ს], თ

ვვირა

ეს 42,1-4.6-7; ფს 28; საქმ 10,34-38; მთ 3,13-17

ეს არის ძე ჩემი, საყვარელი მთ 3,17

იესო, შენს მამას გული აუჩუყდა: გიხილა, როგორ შეხვედი იორდანეს წყალში ცოდვილებთან ერთად, ვითომ ცოდვილი ყოფილიყავი, ერთი მათგანი... შენ გადიარა თავის საყვარელ ძედ, ანუ თავისივე სიცოცხლის მატარებლად, სიცოცხლესი, რომელიც ოდენ სიყვარულია, გულმოწყალება. იესო, მწადია ვისწავლო შენგან მამის გახარება: შეგთხოვ, მომანიჭო შენი წმიდა სული!

13 იანვარი

2020

რიგითი I კვირა [I] მწ - ლუწი წელიწადი
(31.XII) წმ. ღირსი დედა საბაია, აბადესა (Xს);
წმ. ილარიონი, ეპ. და ეკლ. მოძღ., + 367

ორშაბათი

1მეფ 1,1-8; ფს 115; მარ 1,14-20

იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

განა ათ ვაჟს არ გირჩევნივარ? 1მეფ 1,8

ამ კითხვით მიმართავს ელკანა თავის ცოლს ანას, რომელსაც სტანჯავს უშვილობა და მეორე ცოლის კილვა. ელკანას სწადდა, მაგრამ არ შეეძლო ანას გულის მთლიანად ავსება. მხოლოდ ღვთის სიყვარულს ძალუძს ადამიანური სიყვარულის ნაკლულოვანების ავსება, სიყვარულის მიღებისა და გაცემის საჭიროებისა. მხოლოდ იესოა ათ ვაჟზე უკეთესი. ეს იგრძნეს სიმონმა და ანდრიამ, იაკობმა და იოანემ, რომლებიც მაშინვე გაჰყვნენ მას.

14 იანვარი

2020 სამშაბათი

1მეფ 1,9-20; 1მეფ 2,1.4-8; მარ 1,21-28

არაწმიდა სულთაც კი უბრძანებს მარ 1,27

ეს არაწმიდა სულნი, სამწუხაროდ, არ გამქრალან; დამალულნი, ხშირად შეუმჩნეველნი, განაგრძობენ თავიანთ მავნე საქმიანობას: ხელს უშლიან იესოს სიტყვის მოსმენას, გულებში ხან უსარგებლო ხორციელი შფოთის, ხანაც ღვთიური სიყვარულის საწინააღმდეგო გრძნობების, ხან კი განურჩევლობისა და ურწმუნოების თესვით. იესო კი ამარცხებს მათ და გვათავისუფლებს თავისი ეკლესიის საიდუმლოთა, განსაკუთრებით კი მიტევების საიდუმლოს მიერ.

15 იანვარი

2020 ოთხშაბათი

1მეფ 3,1-10.19-20; ფს 39; მარ 1,29-39

სიცხემ გაუარა მარ 1,31

როდესაც იესო გვიახლოვდება, მრავალი
რამ გვშორდება: სევდა, შიში, ბოღმა,
დაღლილობა, მიტევების, სიყვარულის,
თავის მიძღვნის უუნარობა.
მოდი, იესო, ჩამჭიდე ხელი და
ახალი ცხოვრება დაიწყება!

16 იანვარი

2020 ხუთშაბათი

1მეფ 4,1-11; ფს 43; მარ 1,40-45

მივიდა იესოსთან

ერთი კეთროვანი მარ 1,40

იესო, დღეს ამ კეთროვანში შენთან რომ მოდის, მე ვარ. კვლავ მიჩვენე შენი თანალმობა, კვლავ შემეხე შენი ხელით. ამისათვისაა რომ მოვდივარ წირვაზე და ჩემი ეკლესიის ტაბერნაკულუმთან გავჩერდები. შემდეგ კი შემეძლება კვლავაც ვემსახურო ჩემს ძმებს; თავმდაბლად, შენდამი თაყვანისცემით, რომელმაც მიმიღე და მკვიდრობ ჩემს გულში.

17 2020

იანვარი

რიგითი I კვირა [I] თ

წმ. ანტონ დიდი +356 (მ) / (4.I) წმ. ღირსნი ევაგრე
მღვიმელი, ილია დიაკონი და სხვანი, მონაზონნი, VIს

პარასკევი

1მეფ 8,4-7.10-22; ფს 88; მარ 2,1-12

შვილო, მოგეტევა ცოდვები მარ 2,5

იესო, შენ პასუხობ დავრდომილისა და მისი მეგობრების რწმენას, რომლებმაც წვალებითა და სიყვარულიდან მომდინარე წარმოსახვით ჩამოუშვეს იგი სხვენიდან შენს წინაშე: შენ მიუტევებ მას ცოდვებს! ირგვლივ ბუზღუნი ზუის... მაგრამ შენი ძღვენი, შენი ძალმოსილება ნამდვილად აღემატება ყველაფერს: შენ მოხვედი სწორედაც რომ ჩვენი ცოდვისაგან გამოსახსნელად, ანუ მამასთან დასაბრუნებლად: მასთანაა რომ ვცხოვრობთ ნამდვილად! მადლობა, იესო!

შაბათი

1მეფ 9,1-4.17-19.26ა; 10,1ა; ფს 20; მარ 2,13-17

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

რადა ჭამს და სვამს ცოდვილებთან ერთად? მარ 2,16

„იმიტომ, რომ მიყვარს და ჩემიანებად მივიჩნევ მათ – შეეძლო ეპასუხა იესოს, – და მხოლოდ ჩემს სიყვარულს შეუძლია გამოიხსნას ისინი ცოდვისაგან და მიანიჭოს მათ ნამდვილი სიხარული“. მეც, შენიანებს შორის უკანასკნელმა, იესო, მივიღე შენგან დავალება შენი სიყვარული მივუტანო მათ ვისაც ყველაზე მეტად გასჭირვებია. სიხარულით დავიკაპიწებ მკლავებს, შენ კი, გევედრები, განკურნე შენიანებს შორის არსებული უთანხმოებანი, რაც შენი და შენი ეკლესიის საგანჯველია!

19 იანვარი

2020

რიგითი II კვირადღე, «ა», [II], მწ

ვვირა

ეს Ч9,3.5-6; ფს 39; 1კორ 1,1-3; იო 1,29-34

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
უფლის ნათლისღება საქ. მართლ. ეკლესიაში

ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი იო 1,33

სახარებაში გაჟღერდა იოანე ნათლისმცე-
მლის სიხარულითა და რწმენით სავსე
მოწმობა: მან იხილა, როგორ გადმოვიდა
და დაივანა სულიწმიდამ იესოზე. მაშ, იესო
ყოფილა ის, ვინც მონათლავს, ანუ შთაფ-
ლავს არა წყალში, არამედ სულიწმიდა-
ში. მეც მივიღებ იესოსაგან სულიწმიდას:
სიყვარულის, რჩევის, მშვიდობის სულს. ამ
დღეებში სასოებით ვითხოვოთ ერთობის
სული ყველა მათთვის, ვისაც სწამს მისი.

20 იანვარი

2020 ორშაბათი

რიგითი II კვირა [II] მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამ. IIIს
წმ. სებასტიანე, წამ., +~304

1მეფ 15,16-23; ფს 49; მარ 2,18-22

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იმარხულებენ იმ დღეს მარ 2,20

იმ დღეზეა საუბარი, როცა საკრებულოს წაერთვა ნეფე, იესო. განა დღესაც იგივე დღე არაა? დიახ, დღესაც გვმართებს მარხვა, რადგან ჩვენ, ქრისტიანებს შორის დაყოფანი უფლის მისტიურ სხეულს ფლეთს და ბინდავს ნეფის აქ ყოფნას. სასძლომ უნდა იმარხულოს, ვინაიდან ხელს უშლის წუთისოფელს სიძის მშვენიერების დანახვაში. ვიმარხულოთ ყოველივე იმისაგან, რაც გვყოფს ოჯახში, სამრევლოში, ეკლესიაში.

21 2020

იანვარი

რიგითი II კვირა [II]

(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ. +786 (მ), წ
წმ. აგნესა ქალწ. წამ., +304 (მ), წ

სამშაბათი

1მეფ 16,1-7.10-13; ფს 88; მარ 2,23-28

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იგი მომიხმობს მე:
„შენა ხარ მამა ჩემი“ ფს 88

დღევანდელი მუხლი აღებულია წმიდა წერილში ერთ წიგნად თავმოყრილი ფსალმუნებიდან. მლოცველი საუბრობს ღვთისადმი შვილობრივი ნდობით. ხოლო იესოს, ლოცვის დიდოსტატს სურს, რომ ამგვარმა განწყობამ გამსჭვალოს მთელი ჩვენი ცხოვრება: სურს, რომ როგორც შვილებს გვიყვარდეს, მოვუსმინოთ და დავყვეთ მამას, როგორც შვილები მივმართავდეთ მას იმაში, რაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება. მცირეებს იგი ანიჭებს თავის მადლს!

22 იანვარი

რიგითი II კვირა [II] მწ

წმ. ბიკენტი, მოწ. დიაკ. + 303

2020 ოთხშაბათი

1მეფ 17,32-33.37.40-51; ფს 143; მარ 3,1-6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

უთვალთვალებდნენ მარ 3,2

ფარისევლები არიან, რომ უთვალთვა-
ლებენ იესოს, განკურნავს თუ არა შაბათ
დღეს სინაგოგაში მოსულ ხელგამხმარ
კაცს. მათი თვალთვალი სხვა არაფ-
რისთვისაა, თუ არა მისთვის ბრალის
წასაყენებლად; იმას როდი უყურებდნენ,
რაც უფალ იესოს, შეეძლო მათთვის ეჩ-
ვენებინა, ესწავლებინა ან ეთხოვა.
მომიტევე, იესო, და შემეწიე,
გულგახსნილი შევხვდე დღეს ყველას!
შენი სიყვარულის იარაღი ვიქნები
ერთობისა და ძმობის შენებაში!

23 იანვარი

2020 ხუთშაბათი

1მეფ 18,6-9;19,1-7; ფს 55; მარ 3,7-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

არად ჩააგდო თავისი სიცოცხლე 1მეფ 19,5

მეფე საულის ძე იონათანი მამის წინაშე იცავს თავის მეგობარ დავითს. სულიწმიდამ მიანიჭა მას სპეტაკი, ძალაუფლების სურვილისგან თავისუფალი სიყვარული; სიყვარული, რომელიც აღიარებს იმ მეგობრის ფასს, რომელმაც „არად ჩააგდო თავისი სიცოცხლე“ ერის გადასარჩენად. ეს სიყვარული ათავისუფლებს საულს, შურისა და ეჭვიანობის ტყვეს. იესო, შენს მორწმუნეთა ერთსულოვანი ლოცვისათვის ერთობა მიანიჭე შენს ეკლესიას!

24 იანვარი

2020 პარასკევი

რიგითი II კვირა [II]

წმ. ფრანცისკე დე სალი, ეპ. და ეკლ. მოძღვ., +1622, (მ), თ

1მეფ 24,3-21; ფს 56; მარ 3,13-19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

მოუხმო მათ, ვინც თვითონ სურდა მარ 3,13

ნამდვილად ვიცით, რომ იესოს არ აურჩევია თორმეტი მოციქული იმ მოწაფეთა შორის, ვინც მას უფრო ესიმპათიურებოდა. ლუკა მახარებელი გვეუბნება, რომ იესომ მამას მოუსმინა და დააკვირდა მათ გულებს: არა მათ ადამიანურ უნარებს, არც მათ რელიგიურ გემოვნებას, არამედ იმას, თუ რამდენად იყვნენ მზად მისი მოძღვრებისამებრ გარდასაქმნელად. უპირველეს ყოვლისა დააკვირდა მათ თავმდაბლობას, რომელშიც გაძლებით სული წმიდა შეძლებდა მოქმედებას და მათი ფერაც სუსტი სიყვარულის გაძლიერებას. თავმდაბლობა ეკლესიის ერთობის საძირკველია.

25 იანვარი

2020

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

შაბათი

საქმ 22,3-16 ან საქმ 9,1-22; ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული

არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

აუწყეთ სახარება ყოველ ქმნილებას მარ 16,15

ამას ცდილობდა პავლე მას შემდეგ, რაც აღმდგარი იესოს ნათელმა მოიცვა იგი დამასკოს გზაზე. ამ ნათელმა მას თვალი დაუბნელა, თუმცა სიღრმე გაუნათა: გაა-გებინა მას, რომ იესო მართლა აღთქმული მაცხოვარი ყოფილა, რომელმაც მისთვი-საც გასწირა თავი. მას სხვა აღარაფერი სურდა, მხოლოდ იესოს ქადაგება ყველა ხალხისათვის. მიხვდა, რომ მთელი კაცო-ბრიობაა ხმობილი, იესოში და მისი საშუა-ლებით, მამის ერთ საყვარელ ერად.

26 იანვარი

2020

რიგითი III კვირადღე, «ა», [III], მწ

კვირა

ეს 8,23-9,3; ფს 26; 1კორ 1,10-13.17; მთ 4,12-23

მოექეცით მთ 4,17

იოანე დააპატიმრეს. ახლა შენი დრო დადგა, იესო! თავმდაბალი და დამყოლი იმეორებ შენი გზის გამამზადებლის სიტყვას: „მოექეცით“. მართლაც, მაშინ, ისევე როგორც დღეს, შენი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნა მოგვიხმობს მოქცევისაკენ, შეცვლისაკენ, რაკი შენი საშუალებით მამაა ჩვენს გვერდით! სევდის ნაცვლად სიყვარულიდან გადმოღვრილი სიხარული, წყვდიადის ნაცვლად კი ციური ნათელი.

27 2020

იანვარი

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ
წმ. ანჯელა მერიჩი, ქალწული +1540

ორშაბათი

დაბ 12,1–7; ფს 95; 1კორ 1,26–31; მარ 16,15–20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

უფალი განამტკიცებდა სიტყვას მარ 16,20ბ

წმიდაო ნინო,
მთელი შენი ცხოვრება
მიუძღვენი სულთა ხსნას,
გამოითხოვე ღმრთისაგან,
შენი შუამდგომლობით,
მოქცევის მადლი მათთვის,
ვისაც იგი ჯერ არ შეუცნია,
ან შეუცნია, მაგრამ არ სცემს თაყვანს
სულითა და ჭეშმარიტებით. ამენ.

28 იანვარი

2020 სამშაბათი

რიგითი III კვირა [III]
წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ., +1274(მ), თ;
(15.I) წმმ. სალომე უჯარმელი და პეროუჟავრ სივნიელი, IVს
წმ. არჩილ მეფე, წამებული, +774

2მეფ 6,12-15.17-19; ფს 23; მარ 3,31-35

დიდძალი ხალხი ეხვია გარს მარ 3,32

იესოსათვის მნიშვნელოვანია ეს ხალხი. მამის სიყვარულს ხედავს მათზე და ხედავს, როგორ ღებულობენ ისინი მისი საშუალებით ღვთის სიტყვას. ამიტომ იგი შეეწევა მათ ხორცი შეასხან მოსმენილ სიტყვას. იესო გრძნობს, რომ დაკავშირებულია ამ ხალხთან, მათ ძმად გრძნობს თავს. მისი ნათესავებიც გახდებიან მისი ნამდვილი ძმები, როდესაც მის გარშემო დასხდებიან მამის ნების მოსასმენად და აღსასრულებლად: მარიამი უკვე არის ამის ნიმუში!

29 იანვარი

რიგითი III კვირა [III] მწ

2020 ოთხშაბათი

2მეფ 7,4-17; ფს 88; მარ 4,1-20

თქვენ მოგეცათ ღვთის სასუფევლის საიდუმლო მარ 4,11

ზოგჯერ, იესო, მეც მაძლევ ხოლმე ღვთის სასუფევლის საიდუმლოს: ეს მაშინ ხდება, როცა შენი სიყვარულისთვის ვცდილობ ხორცი შევასხა შენს რომელიმე სიტყვას, თუნდაც ძალისხმევის ფასად. მაშინ შეგყავარ შენს სიცოცხლეში, შენს სიხარულში. მადლობა, იესო!

30 იანვარი

რიგითი III კვირა [III] მწ

2020 ხუთშაბათი

2მეფ 7,18-19.24-29; ფს 131; მარ 4,21-25

რომელი საწყაულითაც მიუწყავთ იმითვე მოგეწყვით მარ 4,24

მაშ, გავფრთხილდები, არ ვიძუნწო მიტევებისას, დახმარებისას, გაგებისას, დაფასებისას,... რათა სიცოცხლე გავუწოდო ჩემს ძმას. მისთვის ძღვნად ვიქცევი და მივიღებ ღვთის ძღვენს: საუკუნო სიცოცხლეს, არა სიკვდილის შემდეგ, არამედ უკვე აქ, ამქვეყნად.

31 2020

იანვარი

რიგითი III კვირა [III]

წმ. იოანე ბოსკო, მღვ., +1888, სალელთა კონგრეგაციის დამაარსებელი (მ) თ / (18.I) წმ. ღირსი ეფრემ მცირე, +1101

პარასკევი

2მეფ 11,1-10ა.13-17; ფს 50; მარ 4,26-34

სალელთა კონგრეგაციის დღესასწაული

იგი მდოგვის მარცვალსა ჰგავს მარ 4,31

ღვთის სასუფეველი შენა ხარ, იესო. მადლობა, რომ ესოდენ იმცირებ თავს, რათა ჩემს გულშიც დაიდო ბინა! მიხარია, რომ ჩემს ყოველდღიურობაში იმყოფები, ყოველ ჩემს ურთიერთობაში, ყოველივეში, რასაც შინაგანად თუ გარეგნულად განვიცდი. დღესაც მრავლად იქნება ისეთი მომენტი, როდესაც გენდომება შენი სიყვარულის, შენი სასუფევლის განვრცობა ჩემი საშუალებითაც.